

ნიწო ჩარეპიშვილი

„ძალკაცები“ ხეთურ ლურსმულ ტექსტებში და მათი ქართული პარალელები

მგელ-ძაღლის კულტის არსებობა სხვადასხვა ხალხში უძველესი დროიდან დასტურდება. მგელ-ძაღლი დაკავშირებული იყო მამაკაცთა გაერთიანების სიმბოლიკასთან და მითოლოგიასთან. ასეთივე წარმოდგენა არსებობდა მცირე აზიაშიც—ხეთებშიც, რომელთა რიგულების ძირითადი მონაწილენი იყენენ ‘მგელკაცები’ – ^{LÚ.ME}UR.BAR-ra და ‘ძაღლკაცები’ – ^{LÚ.ME}UR.GER (^{LÚ.ME}UR.GI₇). ამ ტერმინებში მოიაზრებიან ის აღამიანები, რომლებიც ცხოველის ნიღბებს ატარებდნენ და ღმერთებს ესაუბრებოდნენ.

იდეოგრაფიულად დაწერილ მსახურთა შორის, რომლებიც ცხოველის სახელთანაა დაკავშირებული, ცნობილია ასევე ‘ლეოპარდის კაცი’ – ^{LÚ}PIRIG.TUR, რომლის ფონეტიკური წაკითხვაა ^{LÚ}parsana და ზემოთ აღნიშნული ‘მგელკაცა’ და ‘ძაღლკაცა’, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ეს ორი უკანასკნელი გვანტერესებს. ^{LÚ}UR.BAR-ra-ს (მგელკაცას) ფონეტიკური წაკითხვის სამი ვარიანტი არსებობს: wetna, ulippana და h̄artaga. მეცნიერები უფრო ulippana-საკენ იხრებიან, და ვარაუდობენ, რომ იგია ‘მგლის’ აღმნიშვნელი ხეთური სიგყვა. ს. აღფი მიიჩნევს, რომ ^{LÚ}UR.GI₇-ის (ძაღლკაცას) ხეთური წაკითხვა შესაძლოა უფრო ^{LÚ}ar̄mia -ში ვეძებოთ, რადგან ამ სიგყვის ^{LÚ}UR.BAR-ra-სთან შესაგყვისება შეუძლებელია. ე.ი. ს. აღფის აზრით შესაძლოა ^{LÚ}UR.GI₇ და ^{LÚ}ar̄mia ერთი და იგივე მნიშვნელობის იყოს. გაგაანალიზოთ ს. აღფის მიერ მოცემული ტექსტების მიხედვით ^{LÚ}ar̄mia არის თუ არა ^{LÚ}UR.GI₇ (ძაღლკაცა) და სწორია თუ არა მისი ამგვარი ფონეტიკური წაკითხვა.

რამოდენიმე ტექსტი, სადაც ნახსენებია ^{LÚ}ar̄mia იმდენად დამიანებულია და ცალკეული სიგყვების სახითაა შემორჩენილი, რომ მისი შინაარსის აღდგენა თითქმის შეუძლებელია; მაგრამ ამ ცალკეული სიგყვების თუ ფრაზების მიხედვით მაინც შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ იგი რაღაც საკულტო დღესასწაულში მონაწილეობს და უკავშირდება ქ. ხათის და ქ. შახფინას სასახლეს. იმ ტექსტებშიდაც, რომელიც შედარებით უკეთაა შემორჩენილი აღწერილია რიგუალური ტრაპეზი, სადაც მთავარი მონაწილენი არიან პრინცი და სასახლის სხვადასხვა მსახურები. აქ ^{LÚ}ar̄mia ნახსენებია მეემოვების (^{LÚ}KISAL.LUH) და ^{LÚ}ILÁ . U.DU₈ –ხალხს შორის. საინტერესოა ერთი ტექსტი, სადაც ‘^{LÚ}ar̄mia -თა მთავარი’ (^{LÚ.ME}ar̄mia) სარიტუალო ტრაპეზისას მაგიდასთან მის ‘ძაღლკაცების

მთავრის“ (GAL ^{LŪ.ME}UR.GL₇) გვერდით და რაღაც საჩუქარს იღებს. ამ საჩუქრის შესახებ ლაპარაკია სხვა ტექსტშიც, ოღონდ იგი მხოლოდ ‘ძალკაცებს“ უკავშირდება; ანუ ‘ძალკაცების“ საჩუქრის მიღების, დაღვანა არ დაღვანას ‘მეშელთა მთავარი“ აგვარებს მეფესთან. ამ სიტუაციაში იგი ერთგვარი შუამავლის როლში გამოდის (ეს საჩუქარი შესაძლოა საერთოდ მეფის მიერაც ყოფილიყო დაღვანილი).

მოკლედ ს. ალფის მიერ მოგანილი ტექსტების საფუძველზე როგორც დავინახეთ ^{LŪ}armia მონაწილეობს სადღესასწაულო საგრაპემო რიტუალში. ^{LŪ}armia- თა მთავარიც“ იგივე გრაპემშია ნახსენები ‘კარიბჭის ძალკაცების მთავრის“ გვერდით (ე.ი. ერთად ღებულობენ რიტუალში მონაწილეობას), თანაც ისინი რაღაც საჩუქრებსაც იღებენ. რამდენადაც ეს ორი პირი ერთმანეთის გვერდითაა მოხსენიებული ცოტა ძნელია მათ მსგავსებაზე ვილაპარაკოთ, ჩემი აზრით ისინი სულ სხვადასხვა კულტმსახურნი არიან და ‘ძალკაცები“ ^{LŪ}armia -სთან არ უნდა გავაიგივოთ. ამგვარად, ძალკაცების ხეთური წაკითხვა ჯერჯერობით უცნობი რჩება და ^{LŪ}armia -ც ცალკე კულტმსახურად გვევლინება. რაც შეეხება თვით ‘ძალკაცებს“, როგორც ჩანს მათში არსებობდა რანგები: ‘კარიბჭის ძალკაცების მთავრები, უბრალო ‘ძალკაცები“, შავი ძალკაცები“. მაშასადამე, ძალკაცები რიტუალებში კულტმსახურებად გვევლინებიან.

‘მგელკაცებსაც“, როგორც ‘ძალკაცებს“ იგივე ფუნქცია უნდა ჰქონდათ – კულტმსახურებაში მონაწილეობა, მაგრამ ხეთური წყაროები იმდენად ბუნდოვანია მათ შესახებ ინფორმაციულობის თვალსაზრისით, რომ გაღატკრით ვერაფერს ვიყვით, გარდა იმისა, რომ ისინი კულტმსახურნი არიან და რიტუალებში მინაწილეობენ. ეს კულტმსახურება რასთან იყო დაკავშირებული, ან რა კულტთან (იყო თუ არა საერთოდ კულტთან) თუ ღვთაებასთან ძნელია თქმა. თვით გერმინებიდან გამომდინარე, სავარაუდოა ოდესღაც მგელ-ძაღლის კულტის არსებობა. ამ მხრივ მნიშვნელოვანი პარალელები შეინიშნება ქართულ რიტუალურ-ეთნოგრაფიულ გრადიციაში.

ქართული რიტუალურ-მითოლოგიური წარმოდგენებით მგელი უძველესი ტოტემური ცხოველია, რომლის საპატივცემულოდაც დაწესებული იყო კალენდარული ღვებები. ამ ღვებს იკრძალებოდა ყოველ-გვარი საქმიანობა და სრულდებოდა სხვადასხვა მაგიური ცერემონიები, რიტუალები. წარმოითქმოდა შელოცვანი, დაწვევლათა ტექსტები და ა.შ. ეს ღვებსასწაული იწოდება, როგორც – ‘მგელთ უქმი“ ან ‘მგელთ კვერაობა“, სვანებში– ‘თხერობა“. სვანთა წარმოდგენით არსებობდა მგელთა მბრძანებელი– ‘შამბერი“. მგელს

უძღვნიდნენ „სამგლე პორციას“. მას მიეწერებოდა არაბუნებრივი ფიზიკური ძალა, მოხერხება, გონიერება, იმის შესაძლებლობა, რომ ამოიცივოს და იგრძნოს ესა თუ ის მოვლენა, რომელიც ძალიან შორს ხდება. მგელი მაგიურ ძალას ფლობს. იგი აღამიანებს ეხმარება და მფარველობს, ამიტომ იყო რომ სვანები მისი კბილის აშუღეგს ატარებდნენ ბოროტი სულებისაგან დასაცავად.

ქართველურ გომთა რელიგიური წარმოდგენები ადასტურებენ მგლის კულტის ძაღლის კულტში გადატანას. მგელ-ძაღლები სმირადაა ნახსენები სვანურ წყევლის ფორმულებში. მგლის თაყვანისცემის გადამრდა ძაღლის კულტში ჩანს არქეოლოგიური მონაცემებითაც. ჩვენამდე მოაღწია კოლხურ-ყუბანურმა ცულებმა, ბალთებმა, რომლებმაც გამოსახული ფანტასტიკური ცხოველები უნდა იყვნენ ძაღლები ან მგლები. ასევე თრიალეთის ვერცხლის თასზეც (ჩვ. წ. აღ. II ათასწ.) გამოსახულია ტახტზე მჯდომი ანთროპომორფული ცენტრალური ფიგურა და მისკენ მიმართული იმავე ტიპის 22 ფიგურა, ცენტრალური ფიგურის უკან სიცოცხლის ხეა აღმართული. აქ გამოსახული არსებები, როგორც ცენტრალური, ასევე მეორე რანგისა, წარმოდგენენ მგელკაცებს ან ძაღლკაცებს. არსებობს მოსაზრება, რომ თასზე გამოსახულია რიგული, რომელიც ნაყოფიერების ღვთაების „თელიფინუ“- სადმია მიძღვნილი (სვანეთშიც არსებობდა რიგული სახელწოდებით „მელია თულეფია“, რომელიც ხათური რიგულის მსგავსად, ნაყოფიერების ღვთაების საპატივცემულოდ სრულდებოდა). ამ თასის წარმომავლობასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ზოგი მეცნიერი მიიჩნევს რომ აქ უნდა იყოს ქართველთა ღვთაებრივი პანთეონის საკულტო სცენა გამოსახული. ზოგი კი მიიჩნევს, რომ იგი შემოტანილია მცირე აზიიდან და არაა წმინდა ქართული. თუკი ეს თასი ხეთურია და შემოტანილია, იგი დამხველური სამოგადოებისათვის მისაღები უნდა ყოფილიყო აქ არსებული რწმენა-წარმოდგენების გამო. თუ იგი ქართული წარმოშობისაა, მით უფრო საინტერესოა, ვინაიდან კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მგელ-ძაღლის კულტის არსებობას ჩვენში. ეს ვარაუდები კვლავ წარმოაჩენს იმ ურთიერთობებს, რომელიც შესაძლოა ამ ორ ეთნოსს შორის ყოფილიყო და გარკვეულწილად ერთს მეორეზე მოეხდინა გავლენა ან პირიქით.

როგორც აღინიშნა, მგელს საკრალური მნიშვნელობა ჰქონდა, რამაც გამოიწვია ამ სახელის ტაბუირება და გადამრდა იგივე ძაღლის კულტში. ან მსგავსი მნიშვნელობით იხმარებოდა სულ სხვა სახელები, რომლებიც ერთი და იმავე ძირიდან სხვადასხვა სუფიქსებით იწარმოება, ან ძირის მოდიფიცირებით მიიღება. მგლის სვანური

სახელია-‘თხერ“-ე, მეგრული-‘გერ“-ი, ამავე მნიშვნელობის უფრო ძველი სახელი შესაძლოა იყოს სვანური-‘ბერ“-ი.

‘ბრ“ ძირზე წარმოებული სიტყვები ქართულ ენაში ინარჩუნებს მგლის კულტთან დაკავშირებულ საკრალურ ნიშანთვისებებს: ომისუნარიანობის-ბრძოლის (ბრდღვნა, ბრჭყალი); ყოვლისმცოდნეობის (სიბრძნე), ღვთაებასთან მიახლოების (სიბერე). ‘ბერ“-ს ქართულში შეენაცვლა მ-გელ-ი, ასევე მისი სემანტიკური ველიც წარმოაჩენს ცხოველური (გლეჯა) და საკრალური (გლოვა, გალობა) ბუნებისათვის დამახასითებელ მნიშვნელობებს. ასევე შუმერულშიც მოიძებნება ომისუნარიანობის გამომხატავი სიტყვა, რომელიც ძაღლის სახელიდან გამომდინარეობს-ur-sag (ძაღლი-თავი), რაც ‘გმირს“ ნიშნავს.

როგორც ღვინახეთ, ხეთურ-ქართველურ წარმოდგენებში, მგლისა და ძაღლის სახელთანაა დაკავშირებული კულტმსახურება, რიტუალი. გარდა ამისა ჩემი ყურადღება მიიქცია თვით გერმინთა მსგავსებამ: შუმეროგრამა UR.GER ‘ძაღლი“, სიტყვასიტყვით ნიშნავს ‘გარეულ მხეცს“ ან ‘კარგი ჯიშის ძაღლს“. ქართველურ ენაში ცნობილია მგლის აღმნიშვნელი გერმინი ‘გერ“, ვინაიდან კარგადაა ცნობილი მგლის ძაღლის კულტში გადასვლა, ამდენად თვალშისაცემია ქართული ‘გერ“-ის შესაბამისობა შუმეროგრამა GER-თან. ქართულში ‘გერ“-ს ჩაენაცვლა ‘მ-გელ“-ი (‘მ“ წინსართია, რ/ლ-ს მონაცვლეობა ენათმეცნიერულად დადგენილი მოვლენაა), შუმეროგრამა GER ვინაიდან ნიშნავს ‘ძაღლს“ და სიტყვასიტყვით ‘გარეულ მხეცს“, ამდენად შესაძლოა მასში ‘მგელი“-ც მოიაზრებოდეს. ასეთი პირდაპირი გადასვლა და შესაბამისობა იშვიათია და თანაც, საგანგებოდ აღნიშვნის ღირსია ამ გერმინთა კავშირი კულტმსახურებასთან და რიტუალთან როგორც ქართველურში, ასევე ხეთურში. საინტერესოა კიდევ გერმინი ‘ბერ“, რაც სვანურში შესაძლოა ‘მგლის“ აღმნიშვნელი იყოს, იმდენად რამდენადაც შუმეროგრამა UR.BAR-ra აღნიშნავს ‘მგელს“ (სიტყვ. ‘გარეული ძაღლი“), საყურადღებოა ‘ბერ-BAR-ის მსგავსება. რა - მიც. ბრუნვის ნიშანია, UR - ზოგადად ძაღლის აღმნიშვნელი სიტყვა. ორივე იწარმოება ‘ბრ“ ფუძიდან, ე/ა-ს მონაცვლეობა სხვადასხვა ენებისათვის ჩვეულებრივი ფაქტია. ამდენად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული ‘გერ“-ი და ‘ბერ“-ი საკმაოდ დამაჯერებლად შეესაბამება შუმეროგრამა ER და BAR -ს, რომლებიც ასევე ხეთურ კულტმსახურებასთანაა დაკავშირებული.

ამ გერმინთა მსგავსება გვაფიქრებინებს მათ საერთო წარმომავლობაზე. თან ორივე ეთნოსში (ხეთურ-ქართულში) მხოლოდ რიტუალებში გვხვდებიან. საინტერესოა თვით ის ფაქტი,

რომ ხეთურ რიტუალებში გვხვდება ეს შუმეროგრაფები, თვითონ შუმერულში კი ჯერ-ჯერობით არა. ეს შეიძლება აიხსნებოდეს იმით, რომ: 1) შესაძლოა შუმერულში ამ გერმინთა არსებობა მათ შესაძლო არსებობაზე მეტყველებდეს და უბრალოდ ტექსტებმა ვერ მოაღწია ჩვენამდე ან 2) შუმერულში არც არსებობდა (რაც ჯერჯერობით ტექსტების არ არსებობაც ამტკიცებს) და უბრალოდ ხეთებმა მხოლოდ ხეთური გერმინები შესაბამისი შუმეროგრაფებით შეცვალეს (ეს კი საკმაოდ მიღებული იყო იმ დროს, განსაკუთრებით ხეთებში, ვინაიდან შუმერული ენა აქედანთან ერთად საერთაშორისო ენად მიიჩნეოდა და ტექსტის ადვილად გაგების მიზნით ხშირად მიმართავდნენ ამ ენებიდან გერმინთა აღებას). საფიქრებელია ისიც, რომ ხეთურ რიტუალებში, როგორც ავღნიშნეთ, ჯერ კიდევ მთლიანად არაა გარკვეული ამ კულტმსახურთა და მათთან დაკავშირებული რიტუალთა მნიშვნელობები; ამიტომ შესაძლოა რომ ის წმინდა ხეთური აწარმოებლობის არც იყოს; ან არის ხათურის გადმონაშთი და უბრალოდ ხეთებმა სრულყოფილად ვერ შეითვისეს; ან კი ზემოთ აღნიშნულ მსგავსებათა საფუძველზე, რომელიმე ქართველური წარმოშობის ეთნოსიდან არის შესული ხეთურში (რადგან ქართულში თუნდაც უფრო ჩამოყალიბებული სახე აქვს მგელ-ძაღლის კულტს). ეს სრულიად შესაძლებელია გერიტორიულად არც თუ ისე დაშორებულ ორ ეთნოსს შორის. თანაც კულტისა და მისი შესაბამისი მსგავსი გერმინების არსებობა (რომელზედაც ზემოთ ვისაუბრეთ) ორივე ეთნოსში ერთ პერიოდზე – ჩვ. წ. აღ-მდე II ათასწლეულზე მოდის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ხინთიბიძე ე. – ქართველთა სახელწოდებები და მათი ეტიმოლოგია. 1998.
2. ჯაფარიძე ნ. – ბრინჯაოს ხანის ოქრომჭედლობა საქართველოში. თბ. 1981.
3. ჯაფარიძე ო. – არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში. თბ. 1969.
4. Амиранашвили Ш. – История Грузинского Искусства. т. I 1950.
5. Бардавелидзе В – Древнейшие Религиозные Верования и Обрядовое Графическое Искусство Грузинских Племен. 1957.
6. Иванов В. – Сходные Черты в Культе Волка на Кавказе, в Древней Малой Азии и на Балканах- Кавказ и Средиземноморье. т V. 1980.
7. Куфтин Б. А. _ Археологические раскопки в Триалети. Тб. 1941.
8. Мещанинов И. – Змея и Собака На Вещевых Памятниках Архаического Кавказа.-Зар. Вост. Отд. Русск. Арх. Овщ. т. XXVI
9. Миллер А. – Изображения Собаки в Древностях Кавказа. т. II 1922.
10. Alp S. – Hethitische Briefe Aus Maşat-Höyük. 1961.

Nino Charekishvili

The cult of „Wolf-dog„’s in Hittite

Resume

This work is about the cult of „Wolf-dog„’s in Hittite. It has functional loading about „wolfmen” and „dogmen” as a members of ritual. It’s given how to read them ideographically and phonetically: Often discussing and satisfying the texts Alp’s opinion is disclaimed about ^{LÚ}UR.GI₇’s („dogman,”) and ^{LÚ}šarmia’s sameness, that’s why it’s unknown yet how to read phonetically „wolfmen”.

It’s discussed deinig „wolf-dog„’s cult in Georgia. (to prove it from material culture it’s very interesting a silver cup from „Trialet”) and it’s given suitable terminology in Georgia, there are a lot of „sacralian” characteristics connected with the cult of wolf-dog (topluck, to fight). Also „Shumerian” word „ur-sag”(dog-head), it means „hero”, it’s connected with dog’s name. Finding the same terminology in Georgian and „Shumerian Languages”, it’s possible to realize about their sameness: Shum. UR.GER-„dog”, it means word for word „wild animal or thoroughbred dog”. In Georgian (Megr.), „wolf„’s designated term is „GER”, it is proved changing „wolf„’s cult into „dog„’s cult and that’s why it’s clear GER-„ger„’s likeness. Also the term „BER” may be means „wolf” in Swaneti, Shumerogramm UR-BAR-ra means „wolf” (word-„wild dog”), it’s interesting here likeness of BAR with „BER”, UR-generally denotes dog. Both of them have common root „BR” and E/A’s alternation is established phenomenon in linguistics).

Likeness of these terminology puts question about their origination. Both of them have ritual-mytheological form (loading). It’s interesting, that we meet this Shumerogramms in Hittite rituals, but not in Shumerian. According to it, we may suppose: 1) being of these terminology in Shumerian may be mean being of them, but the texts haven’t reached or 2) There wasn’t in Shumerian and Hittite’s changed Hittiten terminology with Shumerograms, it was welcomed than.

It’s supposed that as in Hittiten rituals these idolaters and rituals connected with them are indistinct, maybe it is not real Hittiten, maybe it is Hatturian’s descend and Hittites couldn’t assimilate perfectly. It’s possible appearing of it from Ethnosh of Georgian origin (where it have formulated form of wolf-dog’s cult). It’s possible not far away between ethnosh and cult and to have similar and suitable terminology abovementioned. In both Ethnosh it was B.C.II thousand years.